



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/2499-15

9 მარტი, 2016 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები - ნატალია ნაზლაიძე, ბესარიონ ტაბაღუა

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი - შპს „ს. ტ.“

წარმომადგენლები - ა. თ., ს. ნ.

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივნისის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის



ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივნისის განჩინებით, შპს „ს. ტ.-ს“ უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე (ს.ფ. 279-283). პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, წარმოდგენილი სარჩელი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ - არ არის მითითებული სარჩელის გადაწყვეტისათვის არსებითად მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, არ არის მითითებული და წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები და რიგი დოკუმენტაცია წარმოდგენილია უცხო ენაზე, რაც ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ განჩინებაზე 2015 წლის 9 ივნისს შპს „ს. ტ.-ს“ წარმომადგენლებმა, ა. თ.-მ და ს. ნ.-მ კერძო საჩივარი წარადგინეს და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვეს (ს.ფ. 286-288).

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძველიანობა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი.

პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რას და რის საფუძველზე ითხოვს შპს „ს. ტ.“. მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას მოპასუხე „მ. ი. ე.-სათვის“ 2013 წლის 1 ივნისიდან, ხოლო „მ. ნ. ე. ე.-სათვის“ 2013 წლის 1 დეკემბრიდან მათი წილი ძირითადი დავალიანების სრულ დაფარვამდე წლიური 10%-ის ოდენობით ზიანის სახით თანხის დაკისრება წარმოადგენს. წლიური 10%-ის ოდენობით თანხის დაკისრება მოსარჩელეს მიერ მოთხოვნილია, როგორც პრეზუმირებული ზიანი, რაც, თავის მხრივ, მტკიცებულებათა წარდგენის აუცილებლობას არ საჭიროებს, მით უფრო, სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე. პრეზუმირებული ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულებების არქონა არ შეიძლება გახდეს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.



თბილისის საქალაქო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნავს, რომ შპს „ს. ტ.-ს“ სასარჩელო განცხადებაზე თანდართული რიგი მტკიცებულებები (იხ. გვ. 23-745), ნაწარმოებია არასამართალწარმოების ენაზე, ამასთან, არაა წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტების ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ასლები. **თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის მიერ ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული 2011 წლის 31 მარტის ხელშეკრულება ლოგისტიკური მომსახურების შესახებ (ტ.1, ს.ფ. 18-21).**

პალატა ასევე აღნიშნავს, რომ **ინვოისების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია მისი ტექსტური ნაწილის თარგმნის აუცილებლობა იქნეს დადგენილი, თუმცა, აღნიშნული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი არ შეიძლება გახდეს.**

პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებაზე, მასზედ, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე ხელშეკრულებაში არსებული დათქმა ბუნდოვანია და საჭიროებს მხარეთა განმარტებას, რასაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე, წარმოდგენილი სარჩელის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად.

2011 წლის 31 მარტის ლოგისტიკური მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 7.3 პუნქტი ადგენს, რომ წინამდებარე ხელშეკრულება იმართება საქართველოს კანონმდებლობით; თუმცა, ორივე მხარეს აქვს უფლება, გაასაჩივროს გადაწყვეტილება გაერთიანებულ სამეფოში, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის შესაბამისად. პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული დათქმა არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სარჩელის სასამართლოში შეტანის ეტაპზე საქართველოს სასამართლო არაგანსჯადია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ს. ტ.-ს“ წარმომადგენლების, **ა. თ.-ს** და **ს. ნ.-ს** კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივნისის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და საქმე სარჩელის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე, 291-ე, 215-ე, 241-ე, 278-ე, 385-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 414-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. შპს „ს. ტ.-ს“ წარმომადგენლების, **ა. თ.-ს** და **ს. ნ.-ს** კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;



2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივნისის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ;
3. შპს „ს. ტ.-ს“ სარჩელი დასაშვებობის შესამოწმებლად ხელახლა განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს იმავე კოლეგიას დაუბრუნდეს;
4. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზდაიძე

ბესარიონ ტაბაღუა